# საქართველოს კანონი

## „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

**მუხლი 1.** „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 11.11.2015, სარეგისტრაციო კოდი: 010320000.05.001.017921) მე-4 მუხლის მე-3 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ$^{1}$“ ქვეპუნქტი:
„ზ$^{1}$) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომელზე;“.

**მუხლი 2**

1. საქართველოს მთავრობამ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წარდგინებით 2024 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დებულებაში ცვლილების შეტანა, რომლითაც განისაზღვრება ამ სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომელთა სამართლებრივი დაცვის საკითხები.

2. საქართველოს იუსტიციის მინისტრმა 2024 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომელთა მიერ სამსახურის გავლის წესის დამტკიცება.

**მუხლი 3**

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი მუხლი ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან.

**საქართველოს პრეზიდენტი** **სალომე ზურაბიშვილი**

**თბილისი,**

**16 ნოემბერი 2023 წ.**

**N3699-XIIIმს-Xმპ**